F 75/784

ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. ᲞᲘ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1944 Წ. № 122 (7076). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ. 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝ. ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ Ა. Წ. 23-ᲓᲐᲜ 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ. (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲪᲕᲘᲤᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲣᲤᲔᲕᲡ“. ინგლისისა და ამერიკის პრესის გამოხმაურება საბჭოთა ჯარების საბრძოლო წარმატებებზე. (1-ლი გვერდი).

Д. ᲖᲐᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘ. მერე რა მოხდა! (მე-2 გვერდი).

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲐ. (მე-2 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ: მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების [illegible] სარდლობის შტაბის ცნობები. ჰელის განცხადება. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფინეთს შორის. ფინეთ-გერმანიის ახალი შეთანხმების წინაისტორია. ჰიტლერელები მხეცურად ეპყრობიან გერმანიის კატორღაში გარეკილ საბჭოთა მოქალაქეებს. საყოველთაო გაფიცვა კოპენჰაგენში. სიომარი მოქმედება იტალიაში (1-ლი და მე-2 გვერდი).

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

დიდი სამამულო ომის ვითარებაში კომკავშირის რიგებს ათეულ ათასობით ახალგაზრდა შეემატა. უმაგალითოდ გაიზარდა ახალგაზრდობის პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობა. გაიზარდა ამასთან დაკავშირებით კომკავშირული აქტივისტის როლიც. ახალმა ვითარებამ კომკავშირული აქტივისტისაგან მოითხოვა უფრო ღრმად ჩასწვდეს ახალგაზრდობის ცხოვრებას, ყოველდღიურად იზრუნოს მისი აღზრდისათვის, მიმართოს მთელი მისი ენერგია სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული ბრძოლის და შრომისაკენ ფრონტზე და ზურგში.

ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სერიოზულ ცოდნას, ღრმა იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას. რომ აღზარდო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო. კომკავშირელი აქტივისტი, ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკი მხოლოდ მაშინ შესძლებს ნამდვილად გახდეს ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, თუ ისწავლის დაჟინებით, იმაღლებს თეორიულ დონეს, გონებას გაიმდიდრებს იმ ცოდნით, რაც კაპიტალიზმის შეუქმნია და დაუგროვებია.

ამხანაგი სტალინი ყოველთვის მიუთითებდა და მიუთითებს კომკავშირს, რომ მისთვის აუცილებელია მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა.

„ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ, თუ კომკავშირის აქტივის პრაქტიკული მუშაობა არ არის შეხამებული მის თეორიულ მომზადებასთან („ლენინიზმის შესწავლა“), ისე კომკავშირში არავითარი, ოდნავ გააზრებული კომუნისტური მუშაობა არ არის შესაძლებელი“,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ბელადის ამ სიტყვებს ახლა, სამამულო ომის ვითარებაში, უდიდესი [illegible]ებისა და ურთულესი მოვლენ[illegible]თ ალსავსე ეპოქაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

აქტივის თეორიული დონის ამაღლებისათვის გარკვეული მუშაობა ტარდება საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში: ეწყობა ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებიდან გამომდინარე საკითხებზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ თემებზე, საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე. მთელი რიგი ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკები, რაიკომებისა და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები სერიოზულად სწავლობენ და ხშირად გამოდიან ახალგაზრდობაში ლექციებით, მოხსენებებით, საუბრებით.

კარგი თაოსნობა გამოიჩინა კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა. იგი სხვა ლონისძიებებთან ერთად ყოველ ორშაბათობით აწყობს კომკავშირულ საღამოს. ამ საღამოებზე მოსული კომკავშირელები და ახალგაზრდობა მათთვის მრავალ საინტერესო საკითხებს არკვევენ. საღამოებზე პოლიტიკური და ლიტერატურული საუბრების გარდა ეწყობა ახალგაზრდობის შეხვედრები სამამულო ომის მონაწილეებთან, წითელფლოტელებთან. წითელფლოტელი ოფიცრები დადიან ქალაქის ქარხნებში, კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს. ეს ეხმარება აქტივს თეორიული დონის ამაღლებაში.

კომკავშირის ახალციხის რაიკომი კომკავშირული აქტივის სწავლებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს. პარტიის რაიკომის მდივნის ხელმძღვანელობით დაწესებულ ღროს ოკრიბებიან ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკები და სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. კომკავშირის ახალქალაქის რაიკომის მდივნები ბეჯითად მუშაობენ თავის თავზე და ხშირად გამოდიან ახალგაზრდობაში პოლიტიკური მოხსენებებითა და საუბრებით. რაიონში 240 კომკავშირელი და ახალგაზრდა დამოუკიდებლად სწავლობს ამხანაგ სტალინის წიგნს.

კომკავშირელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის სერიოზულ მუშაობას ატარებენ ბევრ სხვა რაიონსა და ქალაქშიც. მაგრამ ამასთან ერთად შრავალ ადგილას აქტივის სწავლება საგრძნობლად მოიკოჭლებს. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკი, რაიკომის მდივანი, აქტივისტი არ მუშაობენ თავიანთ თავზე, არ ზრუნავენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. საილუსტრაციოდ ორ ფაქტს დავასახელებთ. კომკავშირის ბორჩალოს რაიკომის მეორე მდივანს ფ. ალიევს ერთი წელი იქნება წიგნი ხელში არ აუღია. იგი არ კითხულობს გაზეთებს, არ ეცნობა მიმდინარე პოლიტიკის ამბებს. მან რუკაზე ვერ აჩვენა ფრონტის ხაზი და არ იცის სად მიმდინარეობს ბრძოლები. ასეთსავე უდარდელობას იჩენს თეორიული დონის ამაღლებისადმი კომკავშირის ყარაიის რაიკომის მეორე მდივანი რიზაევი. იგი დაინტერესებული არ არის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის ჩამოყალიბებული წრეების მუშაობით, ერთხელაც არ დასწრებია მათს მეცადინეობას, ვერ ერკვევა მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში.

აქტივის სწავლებას მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს თბილისის ორგანიზაციაში. კომკავშირის რაიონულ კომიტეტებთან მოწყობილი არ არის მუდმივი სემინარი კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მდივნებისათვის. მსურველთათვის შექმნილი არ არის საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეები, არასაკმაო რაოდენობით ეწყობა აქტივისათვის თეორიული ხასიათის ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები. კომკავშირის თბილისის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტს სერიოზული მუშაობის ჩატარება მოუხდებათ აქტივის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ხელმძღვანელმა კომკავშირელმა მუშაკებმა არ უნდა დაიჯიჯგონონ, რომ ზოგიერთმა აქტივისტმა, მით უმეტეს ახალდაწინაურებულმა არ იცის საიდან დაიწყოს სწავლა, რა წაიკითხოს. მას უნდა დავეხმაროთ კონსულტაციით, საუბრებით, რჩევა-დარიგებით, მოვუყვეთ— როგორ სწავლობდნენ და მუშაობდნენ ჩვენი ბელადები, ვასწავლოთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, ვურჩიოთ რა ლიტერატურა წაიკითხოს, სისტემატური კონტროლი დავაწესოთ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი.

თეორიის დაუფლება ადვილი საქმე როდია. იგი სისტემატურ, დაჟინებით მუშაობას მოითხოვს. კომკავშირელი აქტივისტი არ უნდა შეაშინოს, იმან, რომ პირველი წაკითხვისას მისთვის რომელიმე საკითხი გაუგებარი იქნება. ერთხელ წაკითხული იგი კვლავ უნდა დაუბრუნდეს, დაკვირვებით წაიკითხოს, ღრმად ჩაუფიქრდეს, იკითხოს მანამ, ვიდრე საკითხი მისთვის ნათელი და გასაგები არ შეიქნება.

ამ მუშაობაში კომკავშირულ ორგანიზაციებს ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ პერიოდულად უნდა შეამოწმონ კომკავშირული აქტივის თეორიული სწავლების მდგომარეობა, მისცენ რჩევა-დარიგება, დაუსახონ ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, დაეხმარონ მათს განხორციელებაში.

კომკავშირელთა თეორიული დონის ამაღლება, მათი შეიარაღება საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით, კიდევ უფრო ნაყოფიერს განდის კომკავშირის მუშაობას, გაზრდის მის ავტორიტეტსა და ვავლენას ახალგაზრდობაში, დაეხმარება კომკავშირს ახალგაზრდობის მთელი ძალების დარაზმვაში ფრონტისადმი, მშობლიური წითელი არმიისადმი დახმარების გასაძლიერებლად.

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘ

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲢᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲑᲐᲢᲝᲕᲡ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲠᲑᲐᲢᲝᲕᲡ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ი. ᲩᲐᲓᲐᲔᲕᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ
1944 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲝᲠᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲓᲝᲒᲘᲡ ტᲑᲔᲑᲡ შუა ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო დაბრკოლებებს ტყის გზებზე და ტბებს შუა მდებარე დეფილეებში, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სვიატოზერო, ვაგოზერო, ვოროგოვა-სელგა, ბერიოზოვი-ნავოლოკი, მატჩოზერო, ვერკილი, ვარლოვ-ლესი, ნინი-სელგა, სოროგოლა.

ქალაქ ᲕᲘᲑᲝᲠᲒᲘᲡ ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ფინელთა დასაყრდენი პუნქტები მიიაქელია, იხანტალა, ᲙᲐᲠᲘᲡᲐᲚᲛᲘ, ნიატიალია და რკინიგზის სადგური ᲙᲐᲠᲘᲡᲐᲚᲛᲘ.

ᲙᲝᲚᲝᲪᲙᲘᲡ მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ვილეკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ᲓᲘᲜᲜᲐ, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲙᲝᲚᲝᲪᲘᲐᲜᲘ, ᲙᲣᲨᲝᲗᲘᲜᲘ, ᲔᲚᲔᲜᲘᲜᲘ, ᲑᲝᲒᲣᲨᲔᲕᲝ, ᲨᲔᲜᲓᲔᲚᲘ, ᲑᲝᲒᲘᲜᲘᲩᲘ, ᲠᲝᲒᲝᲖᲝᲠᲝᲙᲘ, ᲩᲘᲨᲔᲕᲘ, ᲨᲐᲣᲚᲘᲩᲘ და რკინიგზის სადგურები ᲑᲝᲠᲘᲐᲜᲘ, ᲑᲝᲠᲩᲐᲙᲘ, ᲠᲝᲒᲝᲖᲝᲠᲝᲙᲘ.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ფართო ფრონტით გადალახეს მდინარე ᲑᲔᲠᲔᲖᲘᲜᲐ ქალაქ ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲡ ჩრდილოეთით და წინ წაიწიეს 30 კილომეტრამდე მდინარის დასავლეთით. ქალაქ ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲡ სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები მიადგნენ მდინარე ᲑᲔᲠᲔᲖᲘᲜᲐᲡ. ამ მიმართულებით ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲚᲝᲣᲖᲘᲜᲘᲪᲐ, ᲕᲘᲓᲠᲘᲪᲐ, ᲕᲐᲚᲘᲔ და ᲑᲝᲚᲨᲘᲔ ᲜᲔᲖᲜᲝᲜᲘᲩᲘ, ᲕᲔᲚᲘᲐᲢᲘᲩᲘ, ᲜᲔᲛᲝᲜᲘᲪᲐ, ᲑᲝᲚᲨᲘᲔ ᲣᲨᲝᲚᲝᲓᲘ, ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲝ და რკინიგზის სადგური ᲠᲘᲐᲡᲐᲛᲘᲜᲝ. ᲩᲕᲔᲜᲘ ჯარებმა დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ᲛᲘᲮᲔᲘᲠᲝᲕᲝ, ᲡᲢᲐᲮᲝᲕᲝ, ᲔᲡᲛᲝᲚᲝ, ᲡᲢᲐᲠᲝᲚᲔᲡᲚᲘᲐ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲙᲐ, ᲖᲐᲑᲐᲪᲘᲐ, ᲡᲣᲨᲐ და რკინიგზის სადგურები ᲓᲠᲣᲪᲘ, ᲛᲘᲚᲝᲕᲝ, ᲕᲝᲜᲘᲩᲘ, ᲡᲢᲝᲠᲘᲐᲚᲝᲕᲝ.

ქალაქ ᲑᲝᲒᲝᲠᲣᲩᲘᲡᲘᲡ ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ანგრევდნენ წარმატებითს შეტევას და დაიკავეს მინსკის ოლქის რაიონული ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ—ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ᲡᲚᲣᲪᲙᲘ, ქალაქი ᲚᲘᲣᲑᲐᲜᲘ, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲑᲝᲒᲣᲨᲔᲕᲘᲩᲘ, ᲡᲢᲐᲠᲘᲘ ᲠᲘᲩᲘ, ᲙᲐᲛᲔᲜᲘᲩᲘ, ᲕᲘᲐᲖᲝᲛᲔᲜᲘᲪᲐ, ᲢᲐᲚᲪᲐ, ᲚᲔᲒᲕᲘ, ᲖᲐᲚᲣᲩᲘ, ᲜᲝᲒᲝᲛᲚᲔᲡᲚᲘ, ᲕᲘᲚᲔᲘᲙᲐ, ᲕᲘᲚᲔᲘᲙᲐ, ᲨᲐᲠᲔᲘᲩᲘ, ᲠᲝᲒᲝᲖᲝᲠᲝᲙᲘ, ᲞᲝᲖᲝᲚᲡᲢᲘ და რკინიგზის სადგურები ᲕᲔᲠᲘᲪᲘ, ᲛᲐᲢᲩᲝᲖᲔᲠᲝ, ᲕᲔᲠᲙᲘᲚᲘ, ᲕᲐᲠᲚᲝᲕ-ᲚᲔᲡᲘ, ᲜᲘᲜᲘ-ᲡᲔᲚᲒᲐ, ᲡᲝᲠᲝᲒᲝᲚᲐ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲕᲘᲑᲝᲠᲒᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗᲐᲜ და ᲚᲐᲓᲝᲒᲘᲡ ტᲑᲔᲑᲡ შუა ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო დაბრკოლებებს ტყის გზებზე და ტბებს შუა მდებარე დეფილეებში, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სვიატოზერო, ვაგოზერო, ᲕᲝᲠᲝᲒᲝᲕᲐ-ᲡᲔᲚᲒᲐ, ᲑᲔᲠᲘᲝᲖᲝᲕᲘ-ᲜᲐᲕᲝᲚᲝᲙᲘ, ᲛᲐᲢᲩᲝᲖᲔᲠᲝ, ᲕᲔᲠᲙᲘᲚᲘ, ᲕᲐᲠᲚᲝᲕ-ᲚᲔᲡᲘ, ᲜᲘᲜᲘ-ᲡᲔᲚᲒᲐ, ᲡᲝᲠᲝᲒᲝᲚᲐ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲕᲘᲑᲝᲠᲒᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗᲐᲜ ჩვენმა ჯარებმა ფართო ფრონტით გადალახეს მდინარე ᲑᲔᲠᲔᲖᲘᲜᲐ. მოწინააღმდეგის ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ Ა. Წ. 23-ᲓᲐᲜ 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ Ა. Წ. 23-ᲓᲐᲜ 29 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის სარდლობით, ა. წ. 24-დან 29 ივნისამდე ჩატარებული შეტევითი ბრძოლების შედეგად, მოწინააღმდეგეს მიაყენეს შემდეგი ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲚᲘᲐ: 216 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.322 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.370 ნაღმსატყორცანი, 3.660 ტყვიამფრქვევი, 8.360 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 50.000-მდე გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲔᲡ შემდეგი დავლა: 150 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.342 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 884 ნაღმსატყორცანი, 3.744 ტყვიამფრქვევი, 10.000 შაშხანა, 134 რადიოსადგური, 400 ტელეფონის აპარატი, 7.562 ავტომანქანა, 215 საწვავი, 4.300 საზიდარი სამხედრო ტვირთისანად, 36 ეშელონი სხვადასხვა ქონებიანად, 7.748 ცხენი, 263 საწყობი სიომარ მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ᲢᲧᲕᲔᲓ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ 23.680 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲦᲘᲡ შეტევითი ბრძოლების შედეგად, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲑᲝᲒᲠᲣᲡᲘᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲨᲔᲛᲝᲠᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲑᲝᲒᲠᲣᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲚᲘᲐ: 216 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.322 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.370 ნაღმსატყორცანი, 3.660 ტყვიამფრქვევი, 8.360 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 50.000-მდე გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲔᲡ შემდეგი დავლა: 150 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.342 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 884 ნაღმსატყორცანი, 3.744 ტყვიამფრქვევი, 10.000 შაშხანა, 134 რადიოსადგური, 400 ტელეფონის აპარატი, 7.562 ავტომანქანა, 215 საწვავი, 4.300 საზიდარი სამხედრო ტვირთისანად, 36 ეშელონი სხვადასხვა ქონებიანად, 7.748 ცხენი, 263 საწყობი სიომარ მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ᲢᲧᲕᲔᲓ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ 23.680 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲦᲘᲡ შეტევითი ბრძოლების შედეგად, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲑᲝᲒᲠᲣᲡᲘᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲨᲔᲛᲝᲠᲢᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲑᲝᲒᲠᲣᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ, გერმანელთა ზარალი საბრძოლო ტექნიკის მხრივ შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით—73.680 კაცს, 366 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 2.664 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 2.254 ნაღმსატყორცნს, 7.404 ტყვიამფრქვევს, 15.922 ავტომანქანას.

* * *

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ მე-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ გენერალ-პოლკოვნიკ ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲡ სარდლობით, ა. წ. 23-დან 29 ივნისამდე ჩატარებული შეტევითი ბრძოლების შედეგად, მოწინააღმდეგეს მიაყენეს შემდეგი ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲚᲘᲐ: 60 ტანკი, 250 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 200 ნაღმსატყორცანი, 500 ტყვიამფრქვევი, 3.150 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 30.000-მდე გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ მე-2 ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲔᲡ შემდეგი დავლა: 20 ტანკი, 161 სხვად

კომკავშირული ცხოვრება

ჩვენი ახალგაზრდები

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე რაიონის კომკავშირელთა ერთ მესამედზე მეტი ფრონტზე წავიდა და ვაუკაცურად იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ჩვენმა კომკავშირელებმა ბრძოლებში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენეს. ვის არ ახსოვს კომკავშირელი ალიოშა შალამბერიძე, რომელმაც რუსი ხალხის შვილთან მიშაკოვთან ერთად სიცოცხლე გასწირა და ასეული დაღუპვას გადაარჩინა. ჩვენი რაიონის კომკავშირმა აღზარდა სახელოვანი ვაჟკაცები: საბჭოთა კავშირის გმირი—ვლადიმერ მიხეილის-ძე ესებუა, ორდენოსნები ირაკლი ძიგუა, ცოტნე მეუნარგია, ნიკოლოზ თოლორაია, ვლადიმერ კოხრეიძე, კლიმენტი როგავა, ალექსანდრე ხალასკი და კიდევ სხვა მრავალი.

ახალგაზრდა ვაჟებს არც ქალიშვილები ჩამორჩენენ. წითელი არმიის რიგებში მოხალისედ წავიდა რაიონის ათეულობით კომკავშირელი ქალი. მოხალისეთა შორის პირველი იყვნენ ა. შალამბერიძის და—შურა, ენგურის ქაღალდის კომბინატის სტახანოველი, რაიკომის ბიუროს წევრი—ბარბალე შონია, კომკავშირელები ოლია შენგელია და ჩიტო ქირია. ოლია შენგელია დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

ზურგში დარჩენილმა ახალგაზრდებმა თავდადებული შუშაობა გააჩაღეს საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში, დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ჩვენი ფრონტი და ქვეყანა ყველაფრით, რაც საჭიროა ვერაგ მტრის განადგურებისათვის. გაიზარდა ორასოვანთა და ხუთასოვანთა რიგები, მრავლად გვყავს ათასოვანი კომკავშირელებიც.

ბევრმა კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ, ისახელეს თავი შრომაში, მათ შორის არიან: ლ. პ. ბერიას სახელობის ენგურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ს. ჩუხუა, ლ. პ. ბერიას სახელობის ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის უმცროსი ტექნოლოგი ბ. ჩიჩუა, ენგურის ქაღალდკომბინატის ქაღალდის საამქროს ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ბ. კვაშილავა, ზედაეწერის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მწვანე ფოთლის მკრეფავი გ. ჭითანავა, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ბ. თოდუა, დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ალიოშა ფარულავა და სხვები.

ორი წელია, რაც ჩვენს რაიონს აქვს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა სოფლის მეურნეობაში პიონერთა და მოსწავლეთა წარმატებითი შუშაობისათვის. აღნიშნულ დროშას მიმდინარე წელსაც არავის დავუთმობთ.

ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან სამხედრო საქმეს. კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩააბარა ნორმები თავდაცვითს ნიშნებზე. საყოველთაო სამხედრო სწავლების სპეციალურ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ქვეგანაყოფებში მომზადებულია ასეულობით სნაიპერი, მეავტომატე, სანიტარი.

კომკავშირელების, ახალგაზრდებისა და პიონერების მიერ 1943 წელს 2 მილიონ მანეთზე მეტია შეგროვებული და შეტანილი სატანკო კოლონებისა და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაშენებლად. ათეული ათასი მანეთის საჩუქრები გაეგზავნა წითელ არმიას.

კომკავშირული ორგანიზაციები, კომკავშირელები და ახალგაზრდები მზრუნველობით უფლიან ფრონტელთა ბავშვებს.

1944 წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციების მიერ შრომითი დახმარება გაეწია 797 ფრონტელის ოჯახს, 142 მოსწავლეს — ფრონტელთა შვილს დაენიშნა სტიპენდია თვეში 100 მანეთის რაოდენობით. მთელი 1944 წლის განმავლობაში მათ ერთდროული დახმარების სახით მიეცათ რამდენიმე ტონა მარცვლეული, ავრეთვე ტანსაცმელი, სასწავლო სახელმძღვანელოები და სხვა.

მიმდინარე წელს ფრონტელთა 600 ბავშვი უფასოდ დაისვენებს საზაფხულო გამოჯანსაღებელ ბანაკებში და ბანაკებში. კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ბავშვთა დახმარების ფონდისათვის დათესილია 15 ჰექტარი სიმინდი.

ზუგდიდის რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდები მომავალში კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით იშუშავებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ ლენინურ-სტალინური კომკავშირის 25 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემული თიკი.

ტ. გრიგოლია

საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი

საქართველოს ალკკ აფხაზეთის ორგანიზაციის XVII საოლქო კონფერენცია

სოხუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). 24-25 ივნისს ქალაქ სოხუმში შესდგა საქართველოს ალკკ აფხაზეთის ორგანიზაციის XVII საოლქო კონფერენცია.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი **სტალინის** მეთაურობით, ავრეთვე ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ნ. მიხაილოვი.

საანგარიშო მოხსენებით საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შუშაობის შესახებ გამოვიდა კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. გარმელია, სარედაქციო კომისიის მუშაობის შესახებ ამხ. ს. ტოკმაკოვი.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ კომკავშირის ტყვარჩელის ქალაქკომის მდივანი ამხ. გ. ჭაჭია, გუდაუთის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ჩემინავა, გულრიფშის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ბეჭვაია, გალის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გამსონია, აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. ი. დარსანია და სხვ.

როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, სამამულო ომის დღეებში აფხაზეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო შუშაობა გასწიეს ფრონტისა და სამშობლოს დასახმარებლად. კომკავშირელებმა სატანკო კოლონის—„ზოია კოსმოდემიანსკაიას“ ასაგებად შეაგროვეს 7 მილიონი ან ზეი. სატორპედო კატერების „აფხაზეთის კომკავშირელის“ ასაგებად მოკლე დროში შეგროვებულ იქნა 1 მილიონი მანეთი. ტყვარჩელის მეშახტე კომკავშირელებმა უმაღლესი მთავარსარდლობის ფონდს მისცეს გემის გადამტვირთი ამოღებული 3.500 ტონა ქვანახშირი. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის კომკავშირელებმა გასულ წელს 700 ჰექტარ ფართობზე უზრუნველყვეს თამბაქოს მეორე მოსავლის მიღება და სახელმწიფოს გემის გადამტვირთვით ჩააბარეს 200 ტონა თამბაქო.

აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაციების ბევრმა აღზრდილმა სამამულო ომის ფრონტებზე გამოიჩინა თავი, როგორც სამშობლოსათვის, დიდი სტალინის საქმისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. 150 კომკავშირელი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათგან 6 კომკავშირელს, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამასთან ერთად, კონფერენციაზე მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული კომკავშირის საოლქო კომიტეტის და ცალკეული რაიკომების მუშაობა, კერძოდ, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, საგაზეთო-საპრესაბანდო მუშაობის, სკოლაში კომკავშირის საქმიანობის დარგში.

აღინიშნა, რომ მთელი რიგი საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ჩაშლილია. ჩამორჩენილია სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე. იგი შეეხო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გატარონ კომკავშირის ახალგაზრდულმა რაიონულმა კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტმა არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს, ახალგაზრდობის მამასა და მეგობარს ამხანაგ **ი. ვ. სტალინს;** მისალმებანი გაეგზავნათ ავრეთვე ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხ. **ლ. პ. ბერიას** და ამხანაგებს **კ. ნ. ჩარკვიანს, ნ. მიხაილოვს.**

საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა კონფერენციამ სცნო დამაკმაყოფილებლად; დაამტკიცა სარევიზიო კომისიისა და სამანდატო კომისიის მოხსენებანი და შემდგომი მუშაობის ღონისძიებანი დაუსახა კომკავშირის ახალგაზრდულ საოლქო კომიტეტს.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი 45 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია.

* * *

შესდგა საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია საოლქო კომიტეტის ბიურო 7 წევრის შემადგენლობით. პლენუმმა საოლქო კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ა. ციკოლია, მდივნად პროპაგანდის დარგში—ამხ. ვ. ხვარწკია, მდივნად კადრების დარგში—ამხ. თ. თოლუა, მდივნად სამხედრო მუშაობის დარგში—ამხ. ი. წურწუმია. სასკოლო განყოფილების გამგედ დამტკიცებულ იქნა ამხ. ნ. ვაჩნაძე.

გ. მერკვილაძე

◇

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ახალგაზრდათა ფრონტული ბრიგადები მოწინავენი არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბრიგადა, რომელსაც ამხ. ე. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს, შაისში პროფესიების მიხედვით შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა. მან გეგმა შეასრულა 200 პროცენტით. ბრიგადა წარმატებით იბრძვის მოპოვებულ მიღწევათა შენარჩუნებისა და გ ა ნ მ ტ კ ი ც ებ ი ს ა თ ვ ი ს. სურათზე: ბრიგადირი ე. ხიზანაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

◇

მერე რა მოხდა!

ქალაქ ფოთის ნავსადგურის პარტკაბინეტის გამგე ამხ. გრომოვა იჯდა ძველ ლმერთ ოტარიდის, ყველა ფოსტის მუშაკის მფარველის მოვალეობის ადგილამრივი აღმსრულებლის წინ. ამხ. გრომოვას სმა უთრთოდა. იგი აღელვებით ამბობდა:

— ამა ეს რას ჰგავს, ამხანაგო ადგილამრივო ოტარიდო? ასე ხომ ყოველგვარი მუშაობა იშლება. დღეს არ მოსულა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, გუშინ არ მიგვიღია „მორიაკი“. სადღაა „პრავდა“?

ადგილამრივი ოტარიდი რულმორეული და კეთილსინდისიერი თვალებით იცქირებოდა. მან დაამჭახარა და სთქვა:

— მერე რა მოხდა!.. გაზეთი არ მოსულა. რას ღელავთ? ეს რა ძარღვებასაშლელია. დღეს. თქვენ დაგაკლეს გაზეთები. მაშასადამე, ვიღაც სხვას მიუღია. ხვალ ის არ მიიღებს, და თქვენ მოგაცემთ.

გაზეთ „მორიაკის“, რომელიც ქალაქ ბათუმში გამოდის, რედაქციამ მიმართა უფრო მაღალი რანგის ოტარიდს, თავის ხელში რომ აერთიანებს აჭარის კავშირგაბმულობის ძაფებს. რედაქციის წარმომადგენელი ცხარედ და ეგზნებარედ ამბობდა:

— ამა ეს რას ნიშნავს? ჩვენ ლმერ არ გვძინავს, ვამზადებთ ჩვენს გაზეთს, ვჩქარობთ, ვცდილობთ არ დავაგვიანოთ უმნიშვნელოვანესი ახალი ამბები. ჩვენი გაზეთი კი ბათუმიდან ფოთში მეხუთე დღეს აღწევს... ფეხით ხომ უფრო ადრე ჩაბვალ!

აჭარის ოტარიდის თვალები მფარველურად და თავზეხედან იყურებოდნენ. იგი ამბობდა:

— ამა რათ ისიებ ნაღველს... გაზეთმა დაიგვიანა. მერე რა მოხდა!

ეს მეტად გავრცელებული ფორმულაა: მერე რა მოხდა! ამას გაიგონებთ არა მარტო აჭარაში. მასში არის რაღაც დამაძინებელი ძალა. იგი მოქმედებს, როგორც ძილის მომგვრელი ფხვნილი. მერე რა მოხდა! მაშასადამე, არაფერია საფიქრალი, არაფერია შესაწუხებელი. იცხოვრეთ მშვიდად, ნერვებს ნუ იშლით.

რედაქციებში მოაზროვნე, აღელვებული, შეფიქრიანებული საბჭოთა ადამიანები მუშაობენ. მათ იციან, რომ პრესა ჩვენი პარტიის უაღრესად ბასრი იარაღია, და სურთ, რომ ეს იარაღი სრულ წესრიგში იყოს. პარტკაბინეტის თავდაბალი მუშაკიც მოაზროვნე, აღელვებული, შეფიქრიანებული საბჭოთა მუშაკია. რედაქციის მუშაკებსა და პარტკაბინეტის ამ მუშაკს შორის ცოცხალი კავშირი უნდა იყოს. უდიდესი სიტყვაა კავშირი! კავშირის გარეშე ხომ არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი ორგანიზმი. კავშირის გარეშე ირღვევა საზოგადოებაც და მანქანაც.

მაგრამ აი საბჭოთა კოლექტივის ორ მოაზროვნე რგოლს შორის წყდება კავშირი. ერთ მხარეზე ფიქრობენ, მეორე მხარეზე ფიქრობენ, შუაში კი ამთქნარებს კაცი და ამბობს: მერე რა მოხდა! და ჩნდება ცარიელი ადგილი. რედაქცია დაძაბვით შუშობდა ბოელ ღამეს, ჩქარობდა, ღელავდა, რომ არ დაგვიანა, სადღაც კი ჰყრია გაზეთის ტირაჟის შეკვრები, რომლებიც ცოცხალი სიტყვიდან ქაღალდის გროვად იქცეოდნენ.

და აჭარელი ოტარიდი თავაზიანად ლაპარაკობს:

— მე პასუხისმგებელი ვარ ფოსტის მიტანისათვის მხოლოდ მთავარი ფოსტიდან გათუმის ვაგზლამდე. იქ კი, როგორც იჭნება... შეიძლება მიაღწიოს დანიშნულების ადგილს, შეიძლება, ვერც მიაღწიოს.

ძალიან ხშირად ვერ აღწევს. გზაზე უაღრესად ბევრი ინსტანციაა, სადაც სხედან ადამიანები, რომლებიც სამშვიდობისათვის სვამენ ფხვნილს—„მერე რა მოხდა!“.

ასე იქცევა ეს ჩვეულებად. არავის აწუხებს ის, რომ ასე დაბნეულია კავშირგაბმულობა. მომართეთ ადგილამრივ ხელმძღვანელობას. მან მშვენივრად იცის ყოველივე ეს. დიახ, არ არის კარგი, რომ ოტარიდის მოვალეობას ასრულებს ლოკოკინა, რომელიც მიდის და ოდესმე მიაღწევს. მაგრამ, რა მოხდა. განა ეს უბედურებაა!

ასე იჭნება და იზრდება ერთ რგოლში გულგრილობისა და ობივატელური უსულგულობის ობი. მცირე ობი,—ერთი ბეწო ობი, მხოლოდ პაწაწკინტელა სოკო გულგრილობისა. ერთ მუშაკს ასეთი ობი აწუხებს. საჭიროა ახლავე მოვაშოროთ ობი, ეანგი. მეორე კი მხრებს იჩჩავს: მერე რა მოხდა! პაწაწა ლაქაა! ამა სად არ ხდება ასეთი რამ...

იქ, სადაც ჩნდება გულგრილი უსულგულობის ასეთი ობი, დაუყოვნებლივ ჩნდება თაღლითიც. ეს უკვე ყოველგვარი სიბინძურის კანონია. თაღლითი გულგრილობის უშუალო ფუნქციაა. აჭარაში ძნელია ხელის მოწერა ცენტრალურ გაზეთებზე, მაგრამ არც ისე ძნელია ზათი ახალი ნომრების ყიდვა ბაზარზე. მათ ჰყიდიან ნამალევად სპეკულანტურ ფასებში.

თბილისში „სოიუზპეჩატის“ ფოთის განყოფილებამ „პრავდის“ მხოლოდ სამი ტირაჟი მიიღო, ისიც არა მოლიანად. დანარჩენი სადღაა! ცრანს, ბაზარზე მოხვდა.

ასე იშლება ჩვენს წინაშე „შავი ზღვის სანახაობა“. ყველაფერი მშვენიერია მასში: ზღვაც, პალმებიც, ცაც. პალმებსა და მთებს შორის ჩვენ ადგილამრივ მუშაკებსაც ვხედავთ. ისინი ყველანი თავიანთი მუშაობით არიან გართულნი, მსახურობენ, ხელმძღვანელობენ, სწერენ...

— გესმით, ამხანაგებო,—ეუბნებიან მათ,— თქვენთან გულგრილობის გამო თაღლითები მომრავლდნენ... ამისათვის ხომ თქვენ აგებთ პასუხს!

ჩვენ გვესმის პასუხი:

— მერე რა მოხდა...

როგორ თუ რა მოხდა? ამას სერიოზულად უნდა ჩაეფიქრდეთ. ბოლშევიკურად ჩაეფიქრდეთ. და უნდა ჩაეფიქრდეთ არა მარტო შავი ზღვის ნაპირზე! მეტად გავრცელდა ჩვენში ეს ფორმულა: „მერე რა მოხდა“!, ეს ფორმულა მუდამ მავნე იყო, ჩვენს დროში კი სახიფათო და ანტისახელმწიფოებრივი ფორმულაა!

დ. ზასლავსკი

(„პრავდა“, 29 ივნისი).

მოსავალი ავიღოთ უფრო სწრაფად და უდანაკარგოდ

თბილისის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში წელს თავთავიანი მარცვლეულის უხვ მოსავალს იღებენ. ნაძალადევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. გოგიაშვილი) ჰექტარზე საშუალოდ ქერი მიიღეს 90 ფუთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48 ფუთისა, პური კი 90-100 ფუთამდე იღებენ. კოლმეურნეობას უკვე შესრულებული აქვს სახელმწიფოსათვის ქერის სავალდებულო ჩაბარების გეგმა. შრომის დისციპლინა აქ მაღალია. 70 წლის ვ. თეთრაძეს წელს გამომუშავებული აქვს 240 შრომადღე. სოფო ბერიძეს—200 შრომადღე. 13 წლის ნინო ქავთარაძე თავთავების აკრეფის დღიურ ნორმას 150 პროცენტით ასრულებს.

ზეზმი თელეთის კოლმეურნეობა „იმედში“ ქერი უკვე დაბინავებულია. აღებულია აგრეთვე პურის თითქმის ნახევარი. მოსავლის დიდი ნაწილი ხელით იღება. აქ 27 ივნისიდან მუშაობს თელეთის მტს-ის სალეწი მანქანა. კარგად ასრულებს დავალებებს კომბაინერი ს. ვახტანგოვი—დღეში გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარის ნაცვლად მოსავალს იღებს 12-15 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის ქერის ჩაბარების გეგმა.

წალასყურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ზხოლოდ ხელით აიღეს მოსავალი 50-მდე ჰექტარზე. წითელარმიელთა ცოლები მ. ბერუაშვილი და რ. ბუდაგოვი, მოზარდები ე. ვახტანგოვი, ლ. და ა. თათხაშვილები დღიურ ნორმებს ხშირად ორმაგად ასრულებენ.

წელს სერიოზული ყურადღება ექცევა მოსავლის აღრიცხვის საქმეს. შემოღებულია კომბაინიდან მიღებისთანავე მარცვლეულის ბინდორში აწონა. რასაც ესწრებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ან წევრი, ავრეთვე საწყობის გამგე, ბრიგადირი, კოლმეურნეობის ბუხჰალტერი.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ წელს თბილისის რაიონის კოლმეურნეობებში ბევრად უფრო ორგანიზებულად სწარმოებს თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება, ვიდრე შარშან.

მაგრამ ზოგან ნაკლებად იწუხებენ თავს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. სოფელ კომისის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა ვ. ათაგეგოვი, 50-მდე მოზარდი ითვლება, მაგრამ თავთავების აკრეფაზე 28 ივნისს მხოლოდ რამდენიმე შუშაობდა. სუსტად მუშაობენ კომბაინერები — ვ. ალხელაშვილი და გ. სუქიაშვილი. მათ 3 დღეში მოსავალი მხოლოდ 18-18 ჰექტარზე აიღეს.

ჩამორჩენილია სოფელ კომისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. უაზაროვი). აქ ქერი 140 ჰექტარზე უნდა აღეღოთ, დიდი რაოდენობით არის ასაღები პური, მაგრამ აღების ტემპები დაბალია. ყანები სოფლიდან 11-12 კილომეტრზეა დაშორებული. მიუხედავად ამისა კოლმეურნეობის გამგეობამ არ იზრუნა მინდვრად მომუშავეთათვის ბინის მოწყობაზე. სოფლიდან ყოველდღიურად მოდიან ურმით და შუშაობს იწყებენ 10-11 საათზე, საღამოს კი თავს ანებებენ 6 საათზე. მოზარდები იშვიათად გამოსაყავთ სამუშაოზე. სრული დატვირთვით არ მუშაობენ კომბაინები, რომლებსაც ს. არუთინოვი და ბ. ქობულოვი მართავენ. 28 ივნისს ს. არუთინოვის კომბაინი ხშირად ჩერდებოდა, მოსავალს ზერელედ იღებდა, დიდი რაოდენობით სტოვებდა როგორც თავთავებს, ისე ჩალას. მას წელს გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარიდან მხოლოდ 20 ჰექტარზე აქვს მოსავალი აღებული. არასრული დატვირთვით მუშაობენ კომბაინერები გ. ბილიმი და ა. მელნიჩენკო.

სოფელ მარტყოფის კოლმეურნეობებში მოსავალს თავის დროზე არ იღებენ. ზოგან ქერის ყანა უკვე გადამწიფდა. აქა-იქ ბურიც შემოვიდა. სამუშაოზე მთლიანად არ გამოჰყავთ მუშახელი. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ეპიტაშვილი) 210 ჰექტარი ნათესიდან 88 ჰექტარზე მოსავალი დიდი ხანია ასაღებია, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი მეოთხედია აღებული. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ქერი და ზოგან პურიც მომწიფდა, მაგრამ აღება ნელი ტემპით სწარმოებს. ასეთივე ჩამორჩენილია მარტყოფის ლენინისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში.

აქედანვე უნდა მივიღოთ გაფაფრთხილება ზომები, რომ მოსავლის აღების ტემპი გაიაძლიეროთ. თუ ეს არ გავაკეთეთ შეიძლება ბევრი მარცვლეული დავკარგოთ.

ტრ. თოდრაძე

მოსწავლეები საკოლმეურნეო მინდვრებზე

ჩხარი („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ახლა, როცა ნათესების დამუშავება რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს, კოლმეურნეებს აქტიურად ეხმარებიან და თავდადებით შრომობენ მოსწავლეები. სოფელ ახალთერჯოლის არასრული საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ძიძიშვილი) მოსწავლეთაგან შექმნილი 4 რაზმი საკოლმეურნეო მინდვრებზე სტახანოვურად მუშაობს. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს მასწავლებლების აგრაფინა დევიძისა და მაშო კვინიხიძის რაზმები. ორივე რაზმი ნათესების გათოხნის ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებს. მეშვიდეკლასელები თამარ ჩაფიძე და იულია დევიძე ყოველდღიურად 2-3 ნორმას ასრულებენ. მეექვსეკლასელი ანზორ თორთლაძე ნორმებს ორმაგად ასრულებს. მეოთხეკლასელ ზურაბ აბულაძეს დღემდე 40 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

სოფელ ზედაალისუბნის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებისაგან შედგარი რაზმი (ხელმძღვანელი ბიძინა ზარნაძე) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნორმებს 150-170 პროცენტით ასრულებს. მეორე რაზმმა (ხელმძღვანელი მასწავლებელი სერაფიონ ბეღელაძე) 5 დღეში 8 ჰექტარი ნათესი გამარგლა.

წარმატებები მოიპოვეს სოფელ ზედასაზანოს საშუალო სკოლის (დირექტორი ალ. ჯაფარიძე) მოსწავლეებმა. მათგან 7 რაზმია დაკომპლექტებული. უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად რაზმებს შორის და თვით რაზმებში სოციალისტური შეჯიბრებაა გაშლილი, რომელსაც სისტემატურად ამოწმებენ. მათ სახანოს კოლმეურნეობებში 5 დღეში 65 ჰექტარზე მეტი სიმინდის ნათესი გამარგლეს. ასეთივე წარმატებებით მუშაობენ მთელი რიგი სხვა რაზმებიც.

ჩხარელი მოსწავლეები საკოლმეურნეო მინდვრებზე უფროსების მხარდამხარ ფრონტული თავდადებით შრომობენ. ნორჩი პატრიოტები ეხმარებიან გმირ წითელ არმიას მის სახელოვან ბრძოლაში ვერაგი მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

დ. კაჭკაჭიშვილი

დეკეფეები

ბოკავშირეთა საექსპედიციო ძალების შემადგენლობა საარდლობის შვაბის ცნობებში

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 29 ივნისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

ტილლი-სიურ-სელთან და ქალაქ კანთან მძიმე ბრძოლების შემდეგ ჩვენი პოზიციები იმ რაიონში, სადაც გადალახულ იქნა მდინარე ოდონი, განმტკიცდა. მტრის ჯარები, რომლებსაც ჩვენ გარს შემოვუარეთ მონდრეფენილისა და ტურვილის რაიონში, მოსპობილია. მოწინააღმდეგის კონტრიერიშები, რომლებიც მიმართული იყო ჩვენი შვერილის საფუძვლის წინააღმდეგ, გადაჭრით იქნა მცერიეებული. ქალაქ კანის ჩრდილოეთით მიუხედავად მტრის გაფფრთხილებული წინააღმდეგობისა მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ. გრძელდება ბრძოლები აგის კონცხის რაიონში.

ნორმანდიაში გადასხდომის მომენტიდან ჩვენმა ჯარებმა მოსპეს გერმანელთა 121 მძიმე ტანკი.

ხშირი ღრუბლები და ქარიშხალი 29 ივნისს დილით ზღუდავდნენ ჩვენი ავიაციის ოპერაციებს.

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრე მდინარე ოდონის რაიონში გაფაფრთოებულია ოთოვე ფლანგზე. ფრონტის დანარჩენ უბნებზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ევრეულის ჩრდილოეთით გრძელდება ბრძოლები. მოწინააღმდეგემ ამ რაიონში ახალი ჯარები მოიყვანა. შერბურის ჯგუფის ფორტებმა კაპიტულაცია მოახდინეს, ტერიტორიის დეალავის კონცხის რაიონში ვეშენდთ მტრისაგან.

29 ივნისს ნაშუადღევის შემდეგ და საღამოს მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტს, ხიდებს, მატარებლებსა და გზების კვანძებს ფრონტის ხაზს იქით.

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 30 ივნისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

კანის სექტორში მოკავშირეთა ჯარები გაგრძელდნენ წინსვლას მდინარე ორნისაკენ, რამაც მოწინააღმდეგე აიძულა ჩაება ბრძოლაში ჯგუფსანსატანკო ძალების დიდი რეზერვები, რათა შეეკავებინა ჩვენი წინსვლა. მიუხედავად გერმანელთა ნაწილების მიერ არაერთგზის მოტანილი კონტრიერიშებისა, ჩვენი პოზიციები არა მარტო შენარჩუნებულია, არამედ გაუმჯობესებულიც არის. უფრო შორს დასავლეთისაკენ ჩვენმა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ სენ-ჟან-დე-დეის რაიონში. კოტანტენის ნახევარკუნძულზე მტერი განაგრძობდა წინააღმდეგობას აგის კონცხის რაიონში.

არახელსაყრელი ამინდი ძლიერ ზღუდავდა ჩვენი ავიაციის მოქმედებას 30 ივნისის დღეღამის პირველ ნახევარში. მაგრამ ბრძოლების რაიონში და მის სამხრეთით დღის მეორე ნახევარში გაუმჯობესებულმა ამინდმა მოკავშირეთა ავიაციას შესაძლებლობა მისცა 1.000 თვითმფრინავგაფრენა მოეხდინა.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა არმიებმა იტალიაში გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა მის საარიერგარდო პოზიციებზე ტრაზიმენის ტბის აღმოსავლეთითა და დასავლეთით და წინ წაიწიეს ტბის დასავლეთით.

მე-5 არმიის ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ ფართო ფრონტით და ამჟამად უახლოვდებიან ჩეჩინას (იტალიის დასავლეთი სანაპირო, ლივორნოს სამხრეთით). ამჟამად ისინი იმყოფებიან 28 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე სიენის სამხრეთით. სანაპიროს დაშორებით, იტალიის სიღრმეში მე-8 არმიის ნაწილებიც, რომლებიც ძნელად სავალ ადგილში კვლავ ეწევიან ბრძოლებს, მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი კასტიელონე დელ ლაგო, რომელსაც გერმანელები შეუპოვრად იცავდნენ ბრძალი დღის განმავლობაში. გარდა ამისა, აღებულია ქალაქი მონტეპულჩანო (ტრაზიმენის ტბის დასავლეთით) და მთელი რიგი სოფლები მის დასავლეთით.

გუშინ მოკავშირეთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ობიექტებს იტალიაში და იუგოსლავიაში.

ჰეღის განცხადება

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰელმა 29 ივნისს პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამჟამად სწარმოებს განხილვა საკითხისა ფინეთ-ამერიკის ურთიერთობის შესაძლო გაწყვეტის შესახებ. ჰელმა აღნიშნა, რომ ამერიკის საქმეთა რწმუნებული გელიონი ჯერ კიდევ ჰელსინკში იმყოფება. გელიონი უკანასკნელი ამერიკელი დიპლომატია, რომელიც ჯერ კიდევ ფინეთშია.

დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფინეთს შორის

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ცნობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

გენერალ ფიფლის სიკვდილი

სტოკჰოლმი, 30 ივნისი (საკდესი). სხვადასხვა წყაროებიდან იუწყებიან, რომ დაიღუპა ჰიტლერელთა ჯარების სარდალი ჩრდილოეთ ფინეთში გენერალ-პოლკოვნიკი ფიფლი.

საყოველთაო გაფიცვა კოპენჰაგენში

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სტოკჰოლმიდან გადმოგვცემს, რომ, იქ მიღებული ცნობების თანახმად, გუშინ საღამოს კოპენჰაგენში დაიწყო გაფიცვა, რომელიც დღეს საყოველთაო გაფიცვ